პროლეტარიგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

14 მაისი ოთხშაბათი 1969 ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 110 (14410)

ტექნიკური ესთეტიკა

ПРАВДА

13 მაისის მოწინავე

ადამიანის შრომა მარტო მაღალნაყოფიერი როდი უნდა იყოს. იგი დიდ კმაყოფილებას, სიხარულს უნდა გვგვრიდეს. ვ. ი. ლენინის ეს იდეები განუწყვეტლივ ხორცს ისხამს ჩვენს ცხოვრებაში. ნიშანდობლივია, რომ შედარებით ცოტა ხნის წინათ ჩვენს მრეწველობაში გამოჩნდა ახალი პროფესია — მხატვარი-კონსტრუქტორი. რთული და პასუხსაგები მისი მუშაობა: როცა აპროექტებს ყოველივე იმას, რასთანაც ადამიანი დაკავშირებულია ყოფაცხოვრებასა და წარმოებაში, მან უნდა უზრუნველყოს ყოველ ნაწარმში ბევრი თვისების გაერთიანება: ეკონომიურობისა მიმზიდველ გარეგნობასთან, მაღალი წარმადობისა ექსპლოატაციის მოხერხებულობასთან და ა. შ.

საბჭოთა ინდუსტრიის ნაწარმთა შორის ბევრი გამოირჩევა ეკონომიურობით, საიმედოობით და ყველაზე მკაცრ ესთეტიკურ მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს. კარგი სახელი აქვს მოხვეჭილი ბელორუსიის ავტოქარხნის მძლავრ თვითსაცლელ ავტომობილებს, გორკის ქარხანა „კრასნოე სორმოვოს“ წყალქვეშაფრთიან სამდინარო და საზღვაო გემებს, რიგის ქარხანა „ვეფისა“ და ა. პოპოვის სახელობის ქარხნის რადიომიმღებებს, კრასნოგორსკის მექანიკური ქარხნის ფოტოაპარატებსა და სხვა პროდუქციას. ყოველივე ეს შედეგია დიდი ყურადღებისა, რომელიც ეთმობა ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებას, წარმოების მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ტექნიკური ესთეტიკის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომელსაც აქვს ცხრა ფილიალი, სპეციალური სამხატვრო-საკონსტრუქტორო ბიუროები სამინისტროებთან და უწყებებთან. დიდ საწარმოებსა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებში მოქმედებს მხატვრული კონსტრუირების ბუთასამდე ჯგუფი.

მხატვარ-კონსტრუქტორების მუშაობა ხელს უწყობს წარმოების კულტურის ამაღლებას, სამრეწველო ნაწარმზე მოთხოვნილების ზრდას, იძლევა საგრძნობ ეკონომიურ მოგებას. მიუხედავად ამისა ცალკეული სამეურნეო ორგანოები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აფასებენ ტექნიკური ესთეტიკის ეფექტიანობას. მაგალითად, უკანასკნელ წლებში მიღწეულია დიდი პროგრესი ჩვენი ჩარხშენებლობის განვითარებაში. ამ დარგის პროდუქციის პატივს სცემენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. მაგრამ ზოგიერთი ჩარხის გარეგნული სახე ახლაც გაუმჯობესებას მოითხოვს. ამავე დროს ლითონსაჭრელი ჩარხების ექსპერიმენტალური და საამქროებთან-საკვლევი ინსტიტუტი, მთელი რიგი ქარხნების ხელმძღვანელები ჯეროვნად არ ზრუნავენ ახალ სახეობათა ნაწარმის მხატვრულ-კონსტრუქტორული გადაწყვეტისათვის. ეს შეეხება ფართო მოხმარების მთელ რიგ საქონელსაც. მაგალითად, რედაქციას მოსდის წერილები, რომლებშიც სამართლიანად აღნიშნავენ, რომ სხვადასხვა უწყების ქარხნების ნაწარმოები სამზარეულო ავეჯის, მაცივრების, გაზის ქურების, ზომა, ფორმა და ფერი ერთმანეთს არ ეთანხმება. ერთად შეკრებილნი ისინი ცუდად ეხამიანან ერთიმეორეს, დიდ უხერხულობას ქმნიან.

სამეურნეო რეფორმის პირობებში, როცა პირველ პლანზე დგება პროდუქციის რეალიზაცია, მეტად მნიშვნელოვანია, რომ უფრო ფართოდ დანერგოთ მხატვრული კონსტრუირების მეთოდები, რათა თვითეული ნაწარმი მოხერხებული იყოს საექსპლოატაციოდ, გარეგნული ფორმითა და შეფუთვით შეესაბამებოდეს მომხმარებელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამას წინათ მიიღო დადგენილება „სახალხო მეურნეობაში ტექნიკური ესთეტიკის მიღწევათა გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“. ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ საკავშირო სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკათა მთავრობებს. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა იმას, რომ საჭიროა უფრო მეტად დავეხმაროთ საწარმოებს და გავაძლიეროთ კონტროლი მათი მუშაობისადმი, ვიბრძოლოთ მთელი პროდუქციის მაღალი ტექნიკური და ესთეტიკური დონისათვის. აქ ბევრი რამ დამოკიდებულია სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტების მეგობრობაზე. ესენი ძირძოლ, ინჟინრებზე, რომლებიც ამუშავებენ მანქანებს, ჩარხებისა და მოწყობილობის კონსტრუქციას, ქარხნის ტექნოლოგებზე, მხატვარ-კონსტრუქტორებზე, მეცნიერებზე, სოციოლოგებზე.

საჭიროა უფრო ღრმად შევისწავლოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა სტრუქტურა, რათა წინასწარ დავგეგმოთ ისეთი ნაკეთობათა გამოშვება, რომლებიც თავიანთი ხარისხით შეესაბამებიან გაზრდილ მოთხოვნილებას. მათი დაპროექტების დავალებათა შემუშავებისას მტკიცედ უნდა ვეყრდნობოდეთ ტექნიკური ესთეტიკის პროგრესულ ნორმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მაქსიმალურ ხელშემწყობ პირობებს საბჭოთა ადამიანების შრომასა და ყოფაცხოვრებისათვის. ეს ნორმები უფრო სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული სტანდარტებში, პროდუქციისათვის ხარისხის სახელმწიფო ნიშნის მინიჭების, სპეციალურ ფასების დაწესების დროს. ტექნიკური ესთეტიკის მიღწევათა დანერგვა წარმოებაში მჭიდროდ არის დაკავშირებული შრომის მეცნიერულ ორგანიზაციასთან. სწორად იქცევიან იქ, სადაც ეს ამოცანა მიიჩნიეთ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გეგმების განუყოფელ შემადგენელ ნაწილად. საჭიროა აგრეთვე გავააქტიუროთ სამინისტროებთან არსებული მუდმივმოქმედი საასორტიმენტო კაბინეტების მუშაობა, რეგულარულად მოვაწყოთ საუკეთესო ნაწარმისათვის დარგთშორისი დათვალიერება-კონკურსები.

ყოველივე ეს, ბუნებრივია, მოითხოვს კვალიფიციურ კადრებს. მაგრამ როგორც მრეწველობაში, ისე ვაჭრობაში ჯერჯერობით გვაკლია მხატვარი-კონსტრუქტორები, სამრეწველო ნაწარმის სამომხმარებლო თვისებათა შეფასებისა და პროგნოზირების სპეციალისტები. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ უნდა იზრუნოს ასეთი კადრების მომზადების გაფართოებისათვის. მიზანშეწონილია აგრეთვე შევიმუშაოთ ეფექტიანი ღონისძიებანი მატერიალური წახალისებისა ისეთი სახარგებლო, მოხერხებული და ლამაზი ნაწარმის პროექტების შექმნისათვის, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მონაცემებით, რათა ამ საქმეში ჩავაბათ კონსტრუქტორთა და მხატვართა საუკეთესო ძალები.

ტექნიკური ესთეტიკის საკითხები საწარმოებისა და ინსტიტუტების პარტიულ ორგანიზაციათა მუდმივი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. მათი მოვალეობაა აქტიურად დაუჭირონ მხარი წარმოებაში ისეთი ახალი ნიმუშების დანერგვას, რომლებიც შეესაბამებიან თანამედროვე მოთხოვნებს, განმარტონ მხატვრული კონსტრუირების მეთოდების დიდი მნიშვნელობა, საზოგადოებრიობის ყურადღება მიაპყრონ ამ საქმეს. პრესა, რადიო და ტელევიზია მოწოდებულნი არიან ყოველდღიურად გააცნონ საბჭოთა ადამიანებს ჩვენი ინდუსტრიის საუკეთესო ნაწარმი, გაავრცელონ ამ საქმეში შეძენილი დადებითი გამოცდილება, იბრძოლონ ტექნიკური ესთეტიკის მიღწევების კიდევ უფრო ფართოდ დანერგვისათვის პრაქტიკაში.

სკკპ XXIII ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება სახალხო მეურნეობის განვითარების ახლანდელი ეტაპის ერთ-ერთი ძირეული ეკონომიური ამოცანაა. თვითეული მანქანა თუ ჩარხი, საყოფაცხოვრებო მოხმარების ყველა საგანი უნდა იყოს კარგი ხარისხისა, მუშაობაში მოხერხებული და ლამაზად გაფორმებული. ტექნიკური ესთეტიკის მიღწევების ფართოდ გამოყენება ხელს შეუწყობს შრომის პირობების სრულყოფას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომ ზრდას.

დარბაზობა ამზანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიმდინარე წლის 13 მაისს მიიღო ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ლენარტი, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება, და ესაუბრა მას.

ამხ. ი. ლენარტმა ილაპარაკა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტთა ორონისძრებებზე, რომელთა მიზანია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულება, იდეოლოგიური მუშაობის დონის ამაღლება და პარტიული რიგების კონსოლიდაცია. მან გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული ჩეხოსლოვაკიელი კომუნისტები წარმატებით დაძლევენ არსებულ სიძნელეებს, მოაწესრიგებენ ვითარებას პარტიასა და ქვეყანაში მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს კომუნისტური მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში. გაუზიარა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოცდილება იდეოლოგიური მუშაობის ხელმძღვანელობაში. მან ხაზი გაუსვა საბჭოთა კომუნისტებისა და საბჭოთა ხალხის მზურვალე მისწრაფებას კიდევ უფრო განამტკიცონ და განავითარონ ძმური მეგობრობა და მრავალმხრივი თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას შორის, საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის.

ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. ლენარტის საუბარმა გულღიად, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გავაძლიეროთ მშენებლობის ტემპი სოფლებში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის „გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის დარგში.

მოისმინეს სასოფლო მშენებლობის მინისტრის შ. თათარაშვილისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის გ. ჭირაქაძის საინფორმაციო მოხსენებანი.

თათბირზე გამოიღინენ „საქფრინველმრეწველის“ სამმართველოს უფროსი კ. კოვზირიძე, მეგენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველი ვ. მირიანაშვილი, მებამბეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველი ა. ჩიქოვანი, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველის მოადგილე შ. კიმოთიძე, სახელმწიფო სანერგე მეურნეობათა ტრესტის მმართველი შ. ასათიანი, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველის მოადგილე ო. მელაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარმომარაგების უფროსის მოადგილე მ. ნახაპეტოვი, ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი ვ. ყორეოლიანი.

აღინიშნა, რომ წელს სასოფლო სამშენებლო ორგანიზაციებმა შეიენელეს მუშაობის ტემპი, ამან კი გამოიწვია ის, რომ ეურ შეასრულეს კვარტალური და ოთხი თვის დავალებანი. მაგალითად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ოთხ თვის გეგმა შესრულებულია 57 პროცენტით, ხოლო ძირითადი ფონდების ამოქმედების ხაზით — 85 პროცენტით. სასოფლო მშენებლობის დავალებანი არ შეუსრულებია აგრეთვე რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“. მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სხვა ორგანიზაციებს. სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ოთხი თვის გეგმა შეასრულა მხოლოდ 69,7 პროცენტით. ჩამორჩენის მიზეზები სამშენებლო ორგანიზაციათა ცუდ მუშაობასთან ერთად იყო ის, რომ სასოფლო მშენებლობანი საკმარისად არ არის უზრუნველყოფილი ძირითადი საშენი მასალებით, აგრეთვე ელექტროკაბელის ნაწარმითა და ტექნოლოგიური მოწყობილობით, რასაც სოფელს აწვდიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქსოფლტექნიკა“ და „მთავარგასაღება“. აღინიშნა, რომ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები შეფერხებით აწვდიან მომხმარებელს აგურს, წვრილ საკედლე ბლოკებს, ხშირად უშვებენ დაბალი ხარისხის პროდუქციას.

მთელ რიგ რაიონებში პარტიული და საბჭოთა ორგანოები, საკმარისად არ ეხმარებიან სასოფლო სამშენებლო ორგანიზაციებს მუშახელით, ტრანსპორტითა და ადგილობრივი საშენი მასალებით უზრუნველყოფის საქმეში. ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობის დირექტორები არ იღებენ ქმედით ზომებს მათ ტერიტორიებზე ობიექტების მშენებლობის დასაჩქარებლად, საჭირო დახმარებას არ უწევენ მშენებლებს.

თათბირმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება მიზნად ისახავს სოფლად სამშენებლო ორგანიზაციების მიერ სამუშაოთა ტემპის დაჩქარებას. ხორცელდება ქმედითი ღონისძიებანი, რათა პირველი სეზონისთვის აღმოფხვრან ჩამორჩენა, რომელიც მიმდინარე წლის ოთხი თვის მანძილზე აქვთ, და სასოფლო მშენებლობის 8 თვისა და წლიური დავალება შესრულონ მთლიანად რესპუბლიკაში. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტებმა და ცალკეულმა ორგანიზაციებმა ვალდებულება იკისრეს აღმოფხვრან ჩამორჩენა ამ დარგში პირველი აგვისტოსათვის.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ჭანუყვაძემ. (საქდისი).

ლენინურ ეროვნულ საკითხზე

კომუნისტური შრომის 10 წლისთავისათვის

□

ერთი ბრიგადის კვალდაკვალ

ჩვენს ხელთ არის ერთი დოკუმენტი — სოციალისტური შრომის გმირის არჩილ ძამაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადის ვალდებულება, ნაკისრი 1958 წელს.

ეს დოკუმენტი იხსნება ვ. ი. ლენინის ცნობილი სიტყვებით: „ჩვენ მივალწევთ კომუნისტური შრომის გამარჯვებას“.

შემდეგ კი იწყება ვალდებულებანი:

...ყოველ ცვლაში გეგმის გადამეტებით გამოვუშვებთ 30 ტონა თუჯს, მივაღწევთ ღუმელის მარგი მოცულობის გამოყენების გაუმჯობესებას გეგმასთან შედარებით 5 პროცენტით, ბრიგადის ყველა წევრი, ვისაც არა აქვს საშუალო ტექნიკური განათლება, მიიღებს მას უახლოეს სამ-ოთხ წელიწადში, ხოლო ღუმელის ოსტატი ა. ძამაშვილი და უფროსი მეალრე რ. კაფიანი დაამთავრებენ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს...

...იმედს ვამყარებთ ჩვენი ქარხნის ყველა ბრიგადის, ქართველ მეტალურგთა მთელი კოლექტივის მხარდაჭერაზე. გვჯერა ახალ, კომუნისტურ ვალდებულებებს იკისრებს ყველა მებრძმედ, ფოლადმდნობელი, ჩეკოქსი, მგლინავი, რუსთავის ყველა მეტალურგი. ჩვენი საერთო სურვილია საქართველოს ყველა საწარმოში და მშენებლობებზე მრავალდებოდეს კომუნისტური შრომის ბრიგადათა რიცხვი...

ამის შემდეგ 10 წელი გავიდა. ახლა უკვე შეიძლება ანალიზი გავუკეთდეს პირველი კომუნისტური შრომის ბრიგადის მიერ გაწეულ შრომას, მის მიმდევართა საქმიანობას.

ბრიგადამ პირნათლად შეასრულა ვალდებულებით გათვალისწინებული ყველა პუნქტი. ახლა იმი ბამინდელ ღონისძიებებთან შედარებით 30 ტონით კი არა, 40-45 ტონით მეტ თუჯს ადნობს ყოველდღიურად, ღუმელის მარგი მოცულობის გამოყენებაა გაზრდილია 7 პროცენტით. ბრიგადის ყველა წევრმა მიიღო საშუალო ტექნიკური განათლება, ხოლო თვით ა. ძამაშვილი და რ. კაფიანი დიპლომიანი ინჟინრები არიან.

იმაზე, თუ როგორ დაუჭირეს მხარი კომუნისტური შრომის იდეას ქარხანაში, ნათლად მეტყველებს ის 300-მდე ბრიგადა, უბანი და საამქრო, რომლებიც უკვე კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელს ატარებენ. აი არასრული სია ამ კოლექტივების ხელმძღვანელებისა: ა. ფანცულაია, გ. ბერეკაშვილი, ზ. ყაველაშვილი, ი. ტაბატაძე, ნ. კურატაშვილი, რ. რიჟამაძე, ს. სიხარულიძე.

და განა მარტო საწარმოებში იბრძვიან კომუნისტური შრომისა და ყოფის დასანერგავად? ამ ბრძოლაში მთელი ქალაქი ჩაება; არ დარჩენილა არც ერთი მოქალაქე, რომ არ ზრუნავდეს კომუნისტური შრომისა და მაღალი კულტურის ქალაქად რუსთავის გადაქცევისათვის.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საქართველოს დიდ ვვილს

მირგოროდი. პოლტავის ოლქი. (რატუს კორ.). ჩვენი ქვეყნის მშრომელები სათუთად ინახავენ დავით გურამიშვილის — პოეტისა და მეცნიერის, ფილოსოფოსისა და მეომრის, ხალხთა მეგობრობის დაუცხრომელი დამცველის ხსოვნას. უკვდავი ნაწარმოების „დავითიანის“ ავტორმა მორე სამშობლო უკრაინაში პოვა. ყოველწლიურად აგვისტოს პირველ დღეს მირგოროდში, სადაც დაკრძალულია გურამიშვილი, ერთმანეთს ხვდებიან მომმე რესპუბლიკათა წარმომადგენლები. პოლტავის ოლქის ეს უძველესი ქალაქი გახდა საქართველოსა და უკრაინის ხალხთა მარადიული ურღვევი მეგობრობის სიმბოლო. 12 მაისს დილით ქართული ლიტერატურის დიკადის მონაწილეები ეწვივნენ მირგოროდის მშრომელებს.

მირგოროდის ასობით მცხოვრები შეიკრიბა ქართველი ხალხის დიდი შვილის ძეგლისა და პოეტის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის საზეიმო გახსნაზე. დავით გურამიშვილის მუზეუმთან გაიმართა მიტინგი.

ტრიბუნაზე არიან ქართველი ლიტერატორები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგის დ. ი. ჩხიკვიშვილის მეთაურობით, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. ტ. ტრონკო, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე პ. მ. ფეფლენკო, პარტიის პოლტავის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. მ. მუჟიცი, ოლქისა და რაიონის ხელმძღვანელები.

მიტინგი გახსნა პოლტავის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ ს. კ. ბოიკომ. პარტიის საოლქო კომიტეტისა და საოლქო აღმასკომის სახელით იგი გულთბილად მიესალმა ყველას, ვინც მოვიდა, რომ პატივი სცეს საქართველოს სახელოვანი შვილის ხსოვნას.

გაისმის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი და ძეგლს ნელნელა ხსნიან საბურველს. დამსწრეთა წინაშე აღიმართა დავით გურამიშვილის შთაგონებული სახე, რომელიც შექმნეს უკრაინელმა ოსტატებმა— მოქანდაკეებმა ა. ნიმენკომ, ნ. ობოზნიუკმა და არქიტექტორმა ვ. ჟიგულინმა. სკულპტურულ პორტრეტში აღბეჭდილია მოაზროვნის სიბრძნე, მებრძოლის მგზნებარება, ფილოსოფოსი პოეტის შთაგონება.

პ. ტ. ტრონკომ დამსწრეთ მიმართა სიტყვით.

ძვირფასო ამხანაგებო, თქვა მან, მაისის ამ შესანიშნავ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის დიდი დღესასწაულისათვის, სიხარულითა და სიყვარულით ვხვდებით მომმე საქართველოს წარმოგზავნილებს ჩვენს აყვავებულ უკრაინულ მიწაყალზე. მთელი რესპუბლიკა გულღიად, ძმურად გებებავთ თქვენ, ძვირფასო ქართველო მეგობრებო.

დღეს თქვენ, ქართული ლიტერატურის დიკადის მონაწილენი, სტუმართმოყვარულად მოგიწვიეს ორდენსანი პოლტავის ოლქის მშრომელებმა. საბჭოთა უკრაინის ეს შესანიშნავი მხარე ოქთვეი განთქმულია თავისი გმირული ისტორიით, ადამიანთა მრომისმოყვარეობითა და სილამაზით, პოეტურობითა და მუსიკალობით.

ჩვენ ვამაყობთ, რომ პოლტავის მიწაზე, ეროვნული ბრძოლის ცეცხლში ბრძენ ბელადად ჩამოყალიბდა ბოგდან ხმელნიცკი, ეროვნული ბრძოლის ეს ბელადი ერთგულ ურთიერთობას ინახავდა ქართველ ხალხთან. ეს ურთიერთობა ასახულია ბოგდან ხმელნიცკის ბრძანებულებაში, ბრძანებულებაში, ბრძანებულებაში,

ლენინური სწავლების ფელი

მეცადინეობა ბელადის ოთახში

შუქრუთის ზეგანზე არის მაღარო, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელს ატარებს. იგი ერთ-ერთი მძლავრი, სახელოვანი წარსულის მქონე საწარმოა ჭიათურაში.

ლენინელთა შრომითი თავდადების სიმბოლოა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის სამუდამო მფლობელობაში დაუტოვეს მაღაროს კოლექტივს და ათ წელზე მეტია აქ ფრიალებს.

მაღაროელთა რევოლუციურ წარსულს ნათელყოფს მემორიალური დაფა, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის საიუბილეო დღეებში თვალსაჩინო ადგილზე გაკეთდა.

ჭიათურელი მაღაროელებისათვის მუდამ ახლობელი, შთამაგონებელი იყო და არის დიდი ლენინის სახელი. ძველი რევოლუციონერი გ. პარკაძე, რომელიც რუსეთის პირველი რევოლუციის ბობოქარ დროს ჭიათურაში მოღვაწეობდა, მოგონებში წერდა:

„პირველი რევოლუციის გარიჟრაჟზე ჭიათურელ მაღაროელებთან ბოლშევიკები მუშაობდნენ. მაღაროელებს, ლენინიც სულით და გულით ეწაფებოდნენ ვლადიმერ ილიას-ძის ბრძნულ აზრებს, ბეჯითად სწავლობდნენ მის შესანიშნავ შრომებს, სურდათ პირადად ეხილათ დიდი ლენინი. მაგრამ ეს იმხანად შეუძლებელი იყო. მაშინ მაღაროელებმა ითხოვეს, რადგან ეს შეუძლებელია. გადაეცით ლენინს, რომ თავიანი პორტრეტი მაინც გამოგვიგზავნოსო. მაღაროელთა ამ თხოვნას ლენინამდე მიეღწია. მას უთქვამს: დაე წარმოიდგინონ რუსი მუშა — და ეს იქნება ლენინი, დაე წარმოიდგინონ რუსი გლეხი — და ეს იქნება ლენინი"... მოგონების ამ სიტყვებში საუცხოოდ არის გადმოცემული მაღაროელთა ლტოლვა-სიყვარული დიდი ლენინის იდეებისადმი გენიოსი ბელადის უბრალოება, თავდაბლობა, ხალხთან სიახლოე.

მაღაროელები კვლავაც ბეჯითად სწავლობენ ლენინის თეორიულ მემკვიდრეობას, მის უკვდავ შრომებს. როცა ლენინის სახელობის მაღაროში შეიტყვეს დნეპროპეტროვსკელთა და ზესტაფონელ მეტალურგთა თაოსნობა ლენინური სახალხო სკოლების შექმნის თაობაზე, მაღაროელები პარტიულ კომიტეტში გამოცხადდნენ და სკოლებში გაერთიანების სურვილი განაცხადეს. მათ ყურადღებით მოუსმინეს და სურვილიც შეუსრულეს.

დავესწარით ლენინური სახალხო სკოლის ერთ მეცადინეობას. მისი პროპაგანდისტია მაღაროს დირექტორის მოადგილე გ. ტყემალაძე. მეცადინეობაზე დაუგვიანებლად მოვიდნენ მაღაროელები. აქ იყვნენ მაღაროს ზეინკლები ნ. ხვედელიძე, გ. ჯაოშვილი, მარგანეცის ელექტროსადგურთა მანქანის მემანქანე ს. შვედელიძე, რაციონალიზატორი-ხარატი ო. კაპანაძე, ელექტროზეინკლები თ. უფლისაშვილი და სხვები.

მსმენელები ყურადღებით, გატაცებით უსმენდნენ პროპაგანდისტს. მათში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ვ. ი. ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისმა, ახალგაზრდა ლენინის გაბედულმა სიტყვებმა: „არა, ჩვენ ასეთი გზით არ წავალთ".

სკოლის მსმენელებს მუდამ ემახსოვრებათ ლენინის პასუხი ბოკაულისადმი, როცა მის სიტყვებს „რას ჯანყდებიო, ყმაწვილო? თქვენ წინ ხომ კედელია" — ახალგაზრდა ლენინმა ამაყად უპასუხა:

— „კედელია, მაგრამ დამპალი, ხელი ჰკარ — და დაინგრევა".

მსმენელებზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა ვ. ი. ლენინის პირველი ნაშრომების განხილვამ, მათმა რევოლუციურმა სულისკვეთებამ. დიდი ბელადის სიტყვებმა: „არაფერი ისე არ მინდა, არაფერზე იმდენი არ მიოცნებია, როგორც იმის შესაძლებლობაზე, რომ ვწერო მუშებისათვის".

პროპაგანდისტ გ. ტყემალაძეს საინტერესო შეკითხვები მისცეს სკოლის მსმენელებმა თ. ჭიღლაძემ, ნ. ხვედელიძემ, მერი და გოგონა გიორგინდაშვილებმა, გ. ჯაოშვილმა. მათ ამომწურავი, გარკვეული პასუხი მიიღეს.

მაღაროს პარტიული კომიტეტის მდივანმა ბ. ცუხიშვილმა სკოლის მსმენელებს აუწყა, რომ ამიერიდან მეცადინეობა მოეწყობა ვ. ი. ლენინის ოთახში, რომელიც ეს-ეს არის გაიხსნა. იქ ჯრის ვ. ი. ლენინის შრომები, მდიდარი ლიტერატურა ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ფოტოსტენდები, ვლადიმერ ილიას-ძის ბიუსტი, ლოზუნგები, პლაკატები, რუკები, დიაგრამები, თვალსაჩინეობანი, რაც მაღაროელებს დაეხმარება სწავლაში.

სკოლის მსმენელები დაიბალნენ ერთი გადაწყვეტილებით — საფუძვლიანად დაეუფლონ ლენინურ მემკვიდრეობას, მიიღონ იდეური წრთობა.

ჯ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ბანვითხილავთ კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების პროექტს

კოლმეურნეობას კოლმეურნეები მართავენ

კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების პროექტის გამოქვეყნება ფართო განხილვისათვის და კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო მესამე ყრილობისათვის შობადება კოლმეურნე გლეხობისა, და მთელი საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი ერთხელ კიდევ ადასტურებს საკოლმეურნეო წარმოების განვითარებისა და განმტკიცების, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ამაღლებისა და სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების საქმეში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მტკიცე და თანმიმდევრული კურსის სისწორეს.

1935 წელს დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო მეორე ყრილობაზე მიღებულმა კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებამ დიდწნიშვნელოვანი როლი შეასრულა. აღნიშნული წესდების მიღების შემდეგ საკმაო დრომ განვლო. ამ პერიოდში უფრო გაიზარდა საკოლმეურნეო წარმოება, განმტკიცდა კოლმეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეიცვალა საკოლმეურნეო სოფლისა და გლეხობის ცხოვრებისა და შრომის პირობები. საკოლმეურნეო სოფელში მომხდარი ცვლილებების გამო ძველი წესდება ვეღარ ასახავდა სოფლად ახალ ეკონომიურ და სოციალურ ვითარებას და ამიტომ მისი შეცვლის და ახალი წესდების შემუშავების აუცილებლობა თვით ცხოვრებამ დააყენა.

კოლმეურნეობის წესდების პროექტში ყველა ძირითადი საკითხი ახლებურად არის დასმული და გადაწყვეტილი. ხაზგასმით აღნიშნულია, რომ კოლმეურნეობებმა ყველა ღონისძიებით უნდა გამოიყენონ მსხვილი მეურნეობის უპირატესობანი, ინტენსიურად და რაციონალურად გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საწარმოო ფონდები და შრომითი რესურსები, მოაწყონ წარმოება მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის საფუძველზე.

წესდების პროექტში სრული ასახვა ჰპოვა შრომის ორგანიზაციის, ანაზღაურებისა და დისციპლინის საკითხებმა. მოქმედ წესდებასთან შედარებით ახალი დოკუმენტის მიხედვით მნიშვნელოვანი ცვლილებებია შეტანილი კოლმეურნეობის შემოსავლის განაწილების წესში. თუ ძველი წესდებით კოლმეურნეობა თავისი შემოსავლიდან პირველ რიგში ფარავდა სახელმწიფო ვალდებულებებს, საწარმოო მატერიალურ ხარჯებს, აწარმოებდა გადარიცხვას საზოგადოებრივ ფონდებში და ამის შემდეგ ნარჩენს ანაწილებდა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებაზე და ამგვარად კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების საკითხი მეორე პლანზე იყო გადატანილი, ახალი პროექტით არსებული წესი მოლიანად იცვლება და შრომის ანაზღაურების ფონდის შექმნა მიჩნეულია პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საქმედ.

წესდების პროექტის ამ ნაწილში ასახვა ჰპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 მაისის დადგენილებამ „საზოგადოებრივი წარმოების განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გადიდების შესახებ". პროექტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ კოლმეურნეობამ უნდა დაიწესოს კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ანაზღაურება.

ძველისაგან განსხვავებით წესდების ახალი პროექტით კოლმეურნეებს უფლება აქვთ მიიღონ პენსიები მოხუცებულობის, ინვალიდობისა და მარჩენალის დაკარგვის გამო, დახმარება ორსულობისა და მშობიარობის გამო და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ წესდების პროექტში გათვალისწინებულია საკოლმეურნეო ცხოვრებაში განვლილ პერიოდში მომხდარი ცვლილებანი, ჩვენი აზრით პროექტის ზოგიერთ დებულებას ესაჭიროება დაზუსტება და სრულყოფა.

სანიმუშო წესდების პროექტის 27 პუნქტის ბოლო აბზაცში ნათქვამია, რომ: „გამომუშავების ნორმებისა და სასოფლო-სამეურნეო და სხვა სამუშაოების ფასდების შემუშავება და საჭიროების დროს გადასინჯვა ხდება კოლმეურნეების და სპეციალისტების ფართო მონაწილეობით, მეურნეობის კონკრეტული პირობების საფუძველზე, და მათ ამტკიცებს კოლმეურნეობის გამგეობა". ეს ფორმულირება ქართულად და აზრობრივად არ არის გამართული და სწორი. ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება აღნიშნული აბზაცი შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: სასოფლო-სამეურნეო და სხვა სამუშაოებისათვის გამომუშავების ნორმებისა და სატარიფო შეფასებების შემუშავებასა და გადასინჯვას ახორციელებს კოლმეურნეობის გამგეობა ჭიათურის ფარგლებში. თუ ეს ასეა, მაშინ პროექტის 28-ე პუნქტის პირველი აბზაცი მოითხოვს დაზუსტებას. ამ პუნქტში ნათქვამია: „საზოგადოებრივ წარმოებაში მუშაობისათვის კოლმეურნეობა აწესებს კოლმეურნეობის წევრთა შრომის გარანტირებულ ანაზღაურებას", აქედან არა ჩანს, თუ კოლმეურნეობა რა დონეზე ახორციელებს გარანტირებულ ანაზღაურებას, საბჭოთა მეურნეობის სატარიფო შეფასებებს, ან კოლმეურნეობის დონეზე თუ თვითეული კოლმეურნეობის შესაძლებლობის მიხედვით იმ შემთხვევაში, თუ კოლმეურნეობას უფლება ექნება თვითონ განსაზღვროს სამუშაოთა სატარიფო შეფასება, როგორც ეს წესდების პროექტშია ნაგულისხმევი, მაშინ ოცდამეოთხე პუნქტი უმჯობესია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: საზოგადოებრივ წარმოებაში მუშაობისათვის კოლმეურნეობა აწესებს კოლმეურნეობის წევრთა შრომის გარანტირებულ ანაზღაურებას, რომლებმაც არასაპატიო მიზეზით ვერ შეასრულეს აცდდენებისა და შრომის ანაზღაურების საშუალო წამომუშავების დაწესებული საგალდებულო მინიმუმი, კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ ან მთლიანად არ მიეცით დამატებითი ანაზღაურება და სხვა მატერიალური ჯილდო.

ასევე ბევრია ეჭვი, ეს ეხება ფართო მონაწილეობით, მეურნეობის კონკრეტული პირობების საფუძველზე, ფასების ამტკიცებას კოლმეურნეობის გამგეობა". ეს ფორმულირება ქართულად და აზრობრივად არ არის გამართული და სწორი. ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება აღნიშნული აბზაცი შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: სასოფლო-სამეურნეო და სხვა სამუშაოებისათვის გამომუშავების ნორმებისა და სატარიფო შეფასებების შემუშავებასა და გადასინჯვას ახორციელებს კოლმეურნეობის გამგეობა ჭიათურის ფარგლებში. ეს ფორმულირება ერთ-ერთ ადგილზე ეწინააღმდეგება 42-ე პუნქტის ფორმულირებას (საკოლმეურნეო კოდექსი) სარგებლობისათვის ეძლევა ძიწის საკარმიდამო ნაკვეთი ბოსტნეულ, ბალისა და სეზონური საკარიერებისათვის 0,50-მდე ჰექტარის ოდენობით, ამ ფართობზე იქ მიწია ჩათვლილი, როგორც ნაგებობებს უჭირავს, სარწყავ მიწებზე კი 0,20-ძდე ჰექტარის ოდენობით".

ამ პუნქტიდან ნათლად ჩანს, რომ საკარმიდაან ნაკვეთების ოდენობას საფუძველად უნდა ედოს სარწყავი და უწყავი ფართობების ნაყოფიერების სხვაობა. მაგრამ აქ დადგენილი არ არის საკარმიდამო ნაკვეთის ოდენობის მინიმუმი. საკარმიდამო ნაკვეთების გაცემაში არასწორი დ. სუბიექტური თვალთმის გამორიცხვის მიზნით ჩვენი აზრით საჭიროა დადგენილ იქნას საკარმიდამო ნაკვეთების მინიმუმი და მაქსიმუმი.

წესდების მეოთხე პუნქტში, სადაც ჩამოყალიბებულია კოლეეურნეობის წევრია უფლებები, ბოლო აბზაცი (ქართული ტექსტი) შემდეგნაირად აბის გადმოცემული: „სოციალური უზრუნველყოფისა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობისა და კოლმეურნეობის მხრივ დახმარებისა, საცხოვრებელი სახლის მშენებლობასა და რემონტზე და სამშობიარო უზრუნველყოფისა".

უკეთესი იქნება ეს აბზაცი ჩამოყალიბდეს შეადგენაირად: სახრმბაბლეს სოციალური უზრუნველყოფისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ყველა სახეობით, ხელის დახმარება კოლმეურნეობებან საცხოვრებელი სახლის მშენებლობასა და რემონტზე და სამშობიარო უზრუნველყოფისა".

ეკონომიური ეფექტიანობა, ეს ეს ... 42-ე პუნქტის ... კოლმეურნეობის ... (საკოლმეურნეო კოდექსი) სარგებლობისათვის ეძლევა ძიწის საკარმიდაშო ნაკვეთი ბოსტნეულ, ბალისა და სეზონური საკარიერებისათვის 0,50-მდე ჰექტარის ოდენობით, ამ ფართობზე იქ მიწია ჩათვლილი, როგორც ნაგებობებს უჭირავს, სარწყავ მიწებზე კი 0,20-ძდე ჰექტარის ოდენობით".

ამ პუნქტიდან ნათლად ჩანს, რომ საკარმიდაან ნაკვეთების ოდენობას საფუძველად უნდა ედოს სარწყავი და უწყავი ფართობების ნაყოფიერების სხვაობა. მაგრამ აქ დადგენილი არ არის საკარმიდამო ნაკვეთის ოდენობის მინიმუმი. საკარმიდამო ნაკვეთების გაცემაში არასწორი დ. სუბიექტური თვალთმის გამორიცხვის მიზნით ჩვენი აზრით საჭიროა დადგენილ იქნას საკარმიდამო ნაკვეთების მინიმუმი და მაქსიმუმი.

წესდების მეოთხე პუნქტში, სადაც ჩამოყალიბებულია კოლეეურნეობის წევრია უფლებები, ბოლო აბზაცი (ქართული ტექსტი) შემდეგნაირად აბის გადმოცემული: „სოციალური უზრუნველყოფისა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობისა და კოლმეურნეობის მხრივ დახმარებისა, საცხოვრებელი სახლის მშენებლობასა და რემონტზე და სამშობიარო უზრუნველყოფისა".

ეკონომიური ეფექტიანობა, ეს ეს ... 42-ე პუნქტის ... (საკოლმეურნეო კოდექსი) სარგებლობისათვის ეძლევა ძიწის საკარმიდაშო ნაკვეთი ბოსტნეულ, ბალისა და სეზონური საკარიერებისათვის 0,50-მდე ჰექტარის ოდენობით, ამ ფართობზე იქ მიწია ჩათვლილი, როგორც ნაგებობებს უჭირავს, სარწყავ მიწებზე კი 0,20-ძდე ჰექტარის ოდენობით".

ამ პუნქტიდან ნათლად ჩანს, რომ საკარმიდაან ნაკვეთების ოდენობას საფუძველად უნდა ედოს სარწყავი და უწყავი ფართობების ნაყოფიერების სხვაობა. მაგრამ აქ დადგენილი არ არის საკარმიდამო ნაკვეთის ოდენობის მინიმუმი. საკარმიდამო ნაკვეთების გაცემაში არასწორი დ. სუბიექტური თვალთმის გამორიცხვის მიზნით ჩვენი აზრით საჭიროა დადგენილ იქნას საკარმიდამო ნაკვეთების მინიმუმი და მაქსიმუმი.

წესდების მეოთხე პუნქტში, სადაც ჩამოყალიბებულია კოლეეურნეობის წევრია უფლებები, ბოლო აბზაცი (ქართული ტექსტი) შემდეგნაირად აბის გადმოცემული: „სოციალური უზრუნველყოფისა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობისა და კოლმეურნეობის მხრივ დახმარებისა, საცხოვრებელი სახლის მშენებლობასა და რემონტზე და სამშობიარო უზრუნველყოფისა".

ეკონომიური ეფექტიანობა, ეს ეს ... 42-ე პუნქტის ... (საკოლმეურნეო კოდექსი) სარგებლობისათვის ეძლევა ძიწის საკარმიდაშო ნაკვეთი ბოსტნეულ, ბალისა და სეზონური საკარიერებისათვის 0,50-მდე ჰექტარის ოდენობით, ამ ფართობზე იქ მიწია ჩათვლილი, როგორც ნაგებობებს უჭირავს, სარწყავ მიწებზე კი 0,20-ძდე ჰექტარის ოდენობით".

ამ პუნქტიდან ნათლად ჩანს, რომ საკარმიდაან ნაკვეთების ოდენობას საფუძველად უნდა ედოს სარწყავი და უწყავი ფართობების ნაყოფიერების სხვაობა. მაგრამ აქ დადგენილი არ არის საკარმიდამო ნაკვეთის ოდენობის მინიმუმი. საკარმიდამო ნაკვეთების გაცემაში არასწორი დ. სუბიექტური თვალთმის გამორიცხვის მიზნით ჩვენი აზრით საჭიროა დადგენილ იქნას საკარმიდამო ნაკვეთების მინიმუმი და მაქსიმუმი.

დიდი ინტერესით

აჭარის სასოფლო-სამეურნეო არტელების მშრომელები ინტერესით ეცნობიან კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების პროექტს და აღნიშნავენ, რომ ახალი წესდება განამტკიცებს სოფლის მეურნეობის მშრომელთა მიერ ბოლო წლებში მიღწეულ წარმატებებს.

სურათზე: ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი პავლე კალაიჯავი არტელის მშრომელებს კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების პროექტს აკონებს.

ფოტო ნ. ანასტასიევისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ახალი პროგრამით

დამტკიცებულია ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე სკოლების გადასვლის გრაფიკი

ძალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც ათწლედს 1975 წლის გაზაფხულზე დაამთავრებენ, იქნებიან პირველი სკოლა დამთავრებულები, რომლებმაც სასკოლო კურსი აითვისეს ახალი, გაუმჯობესებული პროგრამებით.

როგორ ხორციელდება ამ პროგრამებზე გადასვლა? ასეთი კითხვით მიმართა საკადესის კორესპონდენტმა სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ა. ი. მარკუშევიჩს.

— ექსპერიმენტების დრო დამთავრდა, — თქვა ა. ი. მარკუშევიჩმა. — სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ დამატკიცა ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე საბჭოთა კავშირის სკოლების გადასვლის გრაფიკი. მომდინარე შემოდგომიდან ყველა პირველკლასელი იმეცადინებს სწავლების სამწლიანი დაწყებითი კურსით. მოსკოველმა ბავშვებმა ამ კურსის ათვისება ჯერ კიდევ მომდინარე სასწავლო წელს დაიწყეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალ პროგრამებზე გადასვლა თანდათანობით რომ განხორციელებულიყო, იგი ათი წლით გაჭიანურდებოდა. ამდენი დრო ჩვენ არ გვაქვს. აი რატომაა, რომ მეშვიდე-მეათე კლასებში ლიტერატურაში, ისტორიასა და ზოგიერთს სხვა საგანში სწავლა უკვე მომდინარეობს გადამუშავებული გეგმებითა და პროგრამებით.

მთელ რიგ რესპუბლიკებში დიდი ექსპერიმენტული მუშაობა განხორციელდა სასწავლო პროცესში ჩვენი პროგრამების შემოღებისათვის. ექსპერიმენტების ანალიზმა ცხადყო, რომ მოსწავლეები, რომლებიც ახლებურად მეცადინეობენ, უფრო ღრმად და დიდი ინტერესით ითვისებენ მასალას.

ახალ პროგრამებზე სკოლების გადასვლა რომ არ გავჭიანურეთ, 1970 წლის 1 სექტემბრიდან ამ პროგრამებით ისწავლიან არა მარტო მეორეკლასელები, არამედ მეოთხეკლასელებიც. მათთვის სასწავლო ქსელს ემატება კიდევ თითო საათი მათემატიკისა და რუსული ენის შესასწავლად. 1974 წლის შემოდგომისათვის მთელი სკოლა ახლებურად იმეცადინებს.

— ბუნებრივია, — დასძინეს ამბ. მარკუშევიჩი, მთავარი სიმძიმე აწევთ მასწავლებლებს. მასწავლებლები ახალი პროგრამებისათვის რომ მოვამზადოთ, მეთოდური მითითებანი და სახელმძღვანელოები სულ ცოტა ერთი წლით ადრე უნდა მიიღონ, ვიდრე ახალი პროგრამით დაიწყებენ მუშაობას. მასწავლებლებმა წინასწარ უნდა აითვისონ ახალი მასალა, გაეცნონ სახელმძღვანელოების ენასა და სტილს.

სულ ჩვენ უნდა მოვამზადოთ 39 ახალი სასწავლო წიგნი. აქედან 36 უკვე მზადაა.

თითქმის ყოველი წიგნის თავფურცელზე თქვენ ნახავთ რამდენიმე სახელს. ცნობილი აკადემიკოსების, მაგალითად, ბ. ბიზოვსკის, ა. კოლმოგოროვის, ი. კიკოინის, ნ. კუზნინის, მ. ნეჩკინას, ვ. პარინის — გვერდით აღნიშნულია პედაგოგების სახელები. მაგალითად, მეოთხე კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოს აგტორებს შორის არიან მოსკოვის 404-ე სკოლის მასწავლებლები ტ. ნეჩაევა და ა. ჩესნოკოვი.

მოსკოვი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამერკავკასიის სამეცნიერო-საკვლევი ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ამერკავკასიის სამეცნიერო-საკვლევი ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის დაარსების ასოცდამეხუთე წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ბართიშვილი იასე თევდორეს-ძე — ღრუბელთა ფიზიკისა და აქტიური ზემოქმედების ლაბორატორიის უფროსი.
2. გავაშელი შალვა გრიგოლის-ძე — ლაბორატორიის უფროსი.
3. დვალი ელენე რომანოზის ასული — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.
4. კვარაცხელია ილარიონ თეოფანეს-ძე — ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში.
5. კოლესნიკოვა ანტონინა სიმონის ასული — უფროსი ტექნიკოსი.
6. კორძახია რუსეთიდან სერგაპონის ასული — მეცნიერი თანამშრომელი.
7. ლომინაძე ვასილ პავლეს-ძე — ინსტიტუტის დირექტორი.
8. პაპანინაშვილი კონსტანტინე იოსების-ძე — სინოპტიკურ გამოკვლევათა და პროგნოზების განყოფილების უფროსი.
9. როსტომოვი გრიგოლ დანიელის-ძე — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.
10. სტოლიპინი ნიკოლოზ პავლეს-ძე — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.
11. ქურდიანი იოსებ გიორგის-ძე — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.
12. ჩიკვაიძე გურამ დიმიტრის-ძე — მელიორაციული ჰიდროლოგიის განყოფილების უფროსი.
13. ცერცვაძე შალვა ივანეს-ძე — აგრომეტეოროლოგიური განყოფილების უფროსი.
14. ცომაია ვასილ შარვანის-ძე — გლაციოლოგიის სექტორის უფროსი.
15. ცუცქირიძე იასონ აღქსის-ძე — კლიმატოლოგიისა და აეროლოგიის განყოფილების უფროსი.
16. ჭირაქაძე გიორგი იოსების-ძე — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.
17. ხერხეულიძე ირაკლი ილიას-ძე — ღრუბლოფელ ნაკადთა და მდინარეთა კალაპოტის პროცესების სექტორის უფროსი.
18. ხმალაძე გრიგოლ ნიკოლოზის-ძე — ჰიდროლოგიურ გამოკვლევათა და პროგნოზების განყოფილების უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე

თბილისი, 1969 წლის 13 მაისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივ კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელიც მოისმინა მისი თავმჯდომარის დეპუტატ ი. ხვედელიანის მოხსენება საქართველოს სსრ ზოგიერთ სამრეწველო საწარმოში 1968 წლის კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულების შედეგების და 1969 წლის კოლექტიური ხელშეკრულებების განხორციელების მდგომარეობის შესახებ. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ შემოწმებულ საწარმოებში კოლექტიური ხელშეკრულებების შედგენა, განხილვა და მიღება ხდება დროულად თანამშრომლებთან ფართო აქტივის მონაწილეობით.

კოლექტიური ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების რეალიზაციის შედეგად კარგ შედეგებს მიაღწია თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმაშენებელმა ქარხანამ და მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკამ, რომლებმაც ვადაზე ადრე შეასრულეს პროდუქციის გამოშვების და რეალიზაციის 1968 წლის გეგმები. ეს საწარმოები სისტემატურად აუმჯობესებენ ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს და ამაღლებენ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. ასევე კარგი მაჩვენებლებით დამთავრა 1968 სამეურნეო წელი თელავის № 15 სამკერვალო ფაბრიკამ.

ამასთანავე მუდმივ კომისიაზე აღინიშნა, რომ ზოგიერთ საწარმოს აქვს არსებითი ნაკლოვანებანი კოლექტიური ხელშეკრულებების განხორციელების საქმეში. რუსთავის ქიმიური ბოჭკოსა და კასპის ცემენტის ქარხნებმა, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატმა და სოხუმის № 11 სამკერვალო ფაბრიკამ 1968 წელს ვერ უზრუნველყვეს წლიური გეგმის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება.

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანამ და სოხუმის № 11 სამკერვალო ფაბრიკამ ვერ შეასრულეს კოლექტიური ხელშეკრულებები გათვალისწინებული ვალდებულებები ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიის, მოწინავე საწარმოო გამოცდილების დანერგვისა და ყველა დასახული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელების შესახებ.

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანამ ვერ შეასრულა კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, საამქროებში ნორმატივების დამუშავებისა და ნორმატიულ-კვლევითი სამუშაოების ჩატარების შედეგად ტექნიკური ნორმების მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხში.

ცალკეულ საწარმოებში არ სრულდება კოლექტიური ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური და გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. არის შემთხვევები, როდესაც მუშებს დროზე არ აძლევენ სპეცტანსაცმელს. ზამთრის პერიოდში ქარხნის ზოგიერთი სათავსი საკმაოდ არ თბება. სასადილო, პირსაბანები და საშხაპეები რეგულარულად არ მარაგდება ცხელი წყლით.

კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული 50 ღონისძიებიდან რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში შესრულდა მხოლოდ 27.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის საშხაპე და საერთო სარგებლობის ოთახებში არ ჩატარებულა მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

ცალკეული ნაკლოვანებებია კულტ-მასობრივი მუშაობის, საყოფაცხოვრებო პირობებისა და საზოგადოებრივი კვების მხრივაც. მაგალითად, სოხუმის № 11 სამკერვალო ფაბრიკას არა აქვს კლუბი, საუნებო საცხოვრებელი ფონდი და საერთო საცხოვრებელი.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა ავრეთვე, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები და შესაბამისი მუდმივი კომისიები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულების შემოწმებას.

განხილული საკითხის გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს მუდმივი კომისიის წევრებმა დეპუტატებმა: ა. ვარდოშვილმა, გ. სამხარაძემ, ხ. შარაძენიძემ, შ. კულულაშვილმა. თელავის № 15 სამკერვალო ფაბრიკის დირექტორმა ვ. მამულაშვილმა, კასპის ცემენტის ქარხნის დირექტორმა თ. ალიბეგაშვილმა, მარელისის გრეხილ-ავეჯის ფაბრიკის დირექტორმა ლ. ნამგალაძემ, თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებლობის ქარხნის დირექტორის მოადგილემ გ. მაღლაფაძემ და სხვებმა.

განხილული საკითხის გამო კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე. (საქდესი).



დეპუტატის მრჩეველი

წიგნი — ადგილობრივი საბჭოების მუშაობის ორგანიზაციის შესახებ

ჟოლმეურნეობის სანიმუშო წესდების პროექტის გამოქვეყნება ფართო განხილვისათვის და კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო მესამე ყრილობისათვის შობადება კოლმეურნე გლეხობისა, და მთელი საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი ერთხელ კიდევ ადასტურებს საკოლმეურნეო წარმოების განვითარებისა და განმტკიცების, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ამაღლებისა და სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების საქმეში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მტკიცე და თანმიმდევრული კურსის სისწორეს.

1935 წელს დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო მეორე ყრილობაზე მიღებულმა კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებამ დიდწნიშვნელოვანი როლი შეასრულა. აღნიშნული წესდების მიღების შემდეგ საკმაო დრომ განვლო. ამ პერიოდში უფრო გაიზარდა საკოლმეურნეო წარმოება, განმტკიცდა კოლმეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეიცვალა საკოლმეურნეო სოფლისა და გლეხობის ცხოვრებისა და შრომის პირობები. საკოლმეურნეო სოფელში მომხდარი ცვლილებების გამო ძველი წესდება ვეღარ ასახავდა სოფლად ახალ ეკონომიურ და სოციალურ ვითარებას და ამიტომ მისი შეცვლის და ახალი წესდების შემუშავების აუცილებლობა თვით ცხოვრებამ დააყენა.

კოლმეურნეობის წესდების პროექტში ძირითადი საკითხი ახლებურად არის დასმული და გადაწყვეტილი. ხაზგასმით აღნიშნულია, რომ კოლმეურნეობებმა ყველა ღონისძიებით უნდა გამოიყენონ მსხვილი მეურნეობის უპირატესობანი, ინტენსიურად და რაციონალურად გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საწარმოო ფონდები და შრომითი რესურსები, მოაწყონ წარმოება მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის საფუძველზე.

წესდების

საქართველოს სოვეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზამართლება ათენში

ათენი, 12 მაისი. (საკდესი). ათენის სამხედრო ტრიბუნალში დღეს დაიწყეს 16 კომუნისტისა და წინააღმდეგობის არალეგალური ანტიდიქტატორული ჯგუფის ეროვნული მონაწილეთა გასამართლება

განსასჯელთა შორის არიან საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი გრიგორის ფარაოსი და მისი ამხანაგები მორიტისი, ნიკოლოპულოსი, პოლიტისი, კრიკისი და სხვები. მათ შორის ორი ქალი. მათ წაუყენეს სტანდარტული ბრალდება — „არსებული სახელმწიფო და სოციალური წყობილების დამხობის ცდა".

13 პატრიოტს ბრალად ედება აგრეთვე „სამხედრო ხელისუფალთა ბრძანებისადმი დაუმორჩილებლობა", რაც ნიშნავს საგანგებო წესების შესახებ იმ დეკრეტის დარღვევას, რომელიც ხუნტამ გამოსცა 1967 წლის 21 აპრილის სამხედრო ამბოხების მეორე დღეს.

განსასჯელმა ნიკოლოპულოსმა პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ბრალმდებელთა როლში გამოდიან „ადამიანები, რომლებიც აწამებდნენ". მან სასამართლოს აცნობა, რომ აწამეს გენერალურ ასფალიაში, ხელებზე ფრჩხილები დაგლიჯეს და იყენებდნენ ფიზიკური ზემოქმედების სხვა საშუალებებს.

თათბირი ნიქსონთან

კაუშინგტონი, 12 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ნიქსონი დღეს დილით თეთრ სახლში ეთათბირა სამხრეთ ვიეტნამში მყოფი ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდალს გენერალ აბრამსს, რომელიც კვირას ჩამოვიდა ვაშინგტონში.

შეხვედრას დაესწრნენ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი ლერდი, შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე გენერალი უილერი და პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში კისინგერი.

როგორც ინფორმირებულ წრეებში იუწყებიან, თათბირის თემა იყო სამარი მდგომარეობა სამხრეთ ვიეტნამში.

ღარიგეგი მოითხოვენ

კაშინგტონი, 13 მაისი. (საკდესი). „საბჭოთაში ქრისტიანულ-ხელმძღვანელოგნის კონფედერაციის" ორგანიზაციამ, რომელსაც რასუ აბერნეტი მეთაურობს, გუშინ დაიწყო „სიღარიგის წინააღმდეგ ბრძოლის კვირეული".

ჭეეფნის სხვადასხვა რაიონის წარმომადგენლებმა ვაშინგტონში ჩამოიტანეს ათი პუნქტისაგან შემდგარი პროგრამა, რომელთაგან მთავარია მოთხოვნა, რომ განხორციელონ ეფექტიანი ღონისძიებანი შიმშილის წინააღმდეგ და შეწყვიტონ ვიეტნამის ომი. უზარმაზარი სამხედრო ხარჯები, აცხადებენ ისინი, მკვეთრად უნდა შემცირდეს, ხოლო განთავისუფლებული სახსრები მოხმარდეს საარსებო საჭიროებათა დაკმაყოფილებას.

ფეთქმულების გამოძიების შედეგები

კონაკრი, 12 მაისი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა რევოლუციური კომიტეტის მოხსენება გვინეაში მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულების გამოძიების შედეგების შესახებ.

შეთქმულების ორგანიზატორად მოხსენებაში დასახელებული არიან: ფოდეა კეტა—ეროვნული თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრი, ხოლო ბოლო დროს სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკისა და ხელოსნობის სახელმწიფო მდივანი, მთელი რიგი სხვა ოფიციალური პირები, მათ შორის სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფი.

რევოლუციურ კომიტეტს, აღნიშნულია მოხსენებაში, აქვს ცნობები, რომ ბრალდებულნი გეგმავდნენ თავიდან მოეშორებინათ გვინეის პრეზიდენტი და დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი მოდვაწეები.

უ. როჯერსი აზიაში გაეგზავნება

ვაშინგტონი, 12 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი უ. როჯერსი დღეს აზიის ქვეყნებში გაეგზავნა.

მისი მოგზაურობის პირველი პუნქტი იქნება საიგონი. როგორც თვით როჯერსმა თქვა, იგი აპირებს იქ „კონსულტაციები" მოაწყოს საიგონის რეჟიმის ხელმძღვანელებთან, აგრეთვე ამერიკის ელჩ ბანკერთან და პირადად „შეისწავლოს სამხრეთ ვიეტნამის მდგომარეობა".

ფინანსური კრიზისის ახალი ეტაპი

ნიუ-იორკი, 13 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო დიდი შეშფოთებით ადევნებენ თვალს საგალუტო კრიზისის განვითარებას დასავლეთ ევროპაში. ფინანსურ წრეებში, როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, გამოთქვამენ შიშს იმის გამო, რომ დასავლეთ გერმანიის მთავრობის უარი მოახდინოს მარკის დევალვაცია, კვლავ გაამწვავებს დასავლეთის ქვეყნების სავალუტო სისტემის კრიზისს, მით უმეტეს, რომ ამ სისტემამ დღემდე ვერ დაძლია გირვანქა სტერლინგის დევალვაციით გამოწვეული სიძნელენი, რაც 1967 წლის ნოემბერში მოხდა.

ამერიკის ფინანსურ წრეებში აღნიშნავენ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილება კიდევ უფრო გაადვილებს ვალუტის სპეკულაციას დასავლეთ ევროპის ფულის ბაზრებზე. ამასთან აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში ფინანსური ციებ-ცხელების შედეგად დასავლეთ გერმანიის ბანკებმა თავიანთ სეიფებში შეინახეს 5 მილიარდი დოლარი საერთო თანხის ფრანკი და გირვანქა სტერლინგი.

ფინანსური მიმომხილველნი აღნიშნავენ, რომ ახლანდელი ფართო მასშტაბის საგალუტო კრიზისი ეხება დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანას, სადაც მყარი ფულადი სისტემაა, მათ შორის შვეიცარიას, შვეიცას, დანიასა და ბელგიას. აღნიშნავენ, რომ ფრანკსა და გირვანქა სტერლინგს ახლა ყველარის მიმოქცევა დასავლეთ ევროპის ბაზრებზე, რათა გამორიცხონ მისი სავალუტო სპეკულაცია და თავიდან აიცილონ დოლარის კურსის მკვეთრი დაცემა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი" წერს, შიშობენ, რომ განუწყვეტელი სავალუტო კრიზისი ხელს შეუშლის ეკონომიურ და ფინანსურ სიძნელეთა დაძლევას ქვეყნაში, სადაც საგადამხდელო ბალანსის ქრონიკული დეფიციტია და იზრდება ინფლაცია.

ამერიკული გაზეთები, ქვეყნის ფინანსური და საქმიანი წრეების ორგანოები, სავალუტო მდგომარეობის გაუარესებას უწინასწარმეტყველებენ დასავლეთის ქვეყნებს.

ინგლისის მთავრობის სხდომა

ლონდონი, 13 მაისი. (საკდესი). როგორ უნდა დააღწიონ თავი ეკონომიურ და ფინანსურ სიძნელეებს, აი რა საკითხს იხილავდა გუშინ გაფართოებულ სხდომაზე ინგლისის მთავრობა.

როგორც ირკვევა, სხდომაზე განიხილეს საკითხი, რომ საჭიროა კიდევ უფრო შეამცირონ შინაგანი მოხმარება სახელმწიფოში.

ესეც შენი „თავისუფალი სამყარო"!

„საშინელებათა სახლი" ჩიკაგოში

ჩიკაგო. დამნაშავეობის ზრდა „ამერიკული ცხოვრების" გადაუწყვეტელ პრობლემად რჩება. ჩიკაგოში, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ქალაქებში, აშკარად ვაჭრობენ ცეცხლსასროლი და ცივი იარაღით.

ძალადობის კულტი ბატონობს ტელევიზიაში და კინემატოგრაფიაში, ეულგარულ გამოცემებში, რომელთა ტირაჟები მილიონებს აჭარბებს. ჩიკაგოს ერთ-ერთ ქუჩაზე არის ე. წ. „საშინელებათა სახლი", სადაც ობივატელები თავიანთი ნერვების გასალიზიანებლად მოდიან. ფანჯრებში გამოკიდული ჩონჩხები, ადამიანთა დასახჩრებული გვამები, სახლის მფლობელის აზრით, ეხმარება სუსტი ნერვების მქონეთ ცივ ოფლში გაიწურონ და სეიროზულად იფიქრონ „კოლტის" სისტემის რევოლვერის ან ტელესკოპურსამიზნიანი შაშხანის შეძენაზე.

. . .



სურათზე: „საშინელებათა სახლის" შესასვლელთან.

ფოტო ვ. შანდრინისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

სეულის რეჟიმის რეპრესიები

ფხენიანი, 12 მაისი. (საკდესი). სეულის ხელისუფალნი ემზადებიან გაუსწორდნენ სამხრეთკორეელ პატრიოტს კიმ ჩონ ტეს — ერთიანი რევოლუციური პარტიის ერთ-ერთ ხელმძღვანელს. მიმდინარე წლის იანვარში კიმ ჩონ ტეს სიკვდილი მიესაჯა. ახლა სასამართლომ აპელაციის კანონიერი უფლებაც კი ჩამოართვა.

კორეელ დეპუტათა საგენტო იმოწმებს სეულიდან მიღებულ ინფორმაციას და იუწყება, რომ კორეელი ხალხისა და მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობის პროტესტების მიუხედავად მმართველმა ხროვამ დაამტკიცა კიმ ჩონ ტესათვის გამოტანილი სიკვდილის განაჩენი. ამასთანავე ინსცენირებული იყო ერთიანი რევოლუციური პატრიის სხვა იმ აქტივისტების სასამართლო პროცესი, რომლებიც უკანონო რეჟიმის დამხობისა და სამხრეთ კორეის დემოკრატიული განვითარებისათვის იბრძოდნენ.

მთელი კორეელი ხალხი გულისწყრომითა და აღშფოთებით გმობს დიქტატორ პაკ ჭონ ხის მარionეტული ხროვის დანაშაულებრივ ცდებს გაუსწორდნენ პატრიოტებს და მოითხოვს ბოლო მოეღოს რეპრესიებს ამ ქვეყანაში, აღნიშნავს საგენტო.

უცხოეთის პრესის ფურცლებზე

„უნენი" „მაოიტური პოლიტიკური ფარსი"

ულან-ბატორი, 12 მაისი. (საკდესი). გაზეთ „უნენში" დღეს გამოქვეყნდა სტატია, რომელიც აშუქებს „ჩინეთის კომპარტიის მე-9 ყრილობის" შედეგებს. ეს „ყრილობა", ხაზს უსვამს გაზეთი, „წინასწარ დაგეგმილი პოლიტიკური ფარსია, რომელსაც საერთო არა აქვს რა კომუნისტური პარტიის ყრილობასთან, როგორც იგი მარქსისტ-ლენინელებს ესმით".

მაო ძე-დუნის ჯგუფი, წერს შემდეგ „უნენი", როცა იწვევდა „ჩინეთის კომპარტიის მე-9 ყრილობას", ისახავდა ანტიხალხურ, ანტისოციალისტურ მიზანს— განეხორციელებინა თავისი დიდძალყორნელურ-ვეგეშონისტური ზრახვები. ამიტომ „ყრილობას" არ განუხილავს პრობლემები, რომლებიც დღეს ყველაზე მეტად აღელვებენ ჩინელი ხალხის მრავალმილიონიან მასებს, მაგალითად, ჩინეთის ეკონომიური მდგომარეობა, რომელიც პარალიზებული იყო „კულტურული რევოლუციის" დროს, არ განუხილავს მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების კონკრეტული გზები.

არის მეორე მნიშვნელოვანი ბიზეზიც, რომელიც საშუალებას არ გვაძლევს „ჩინეთის კომპარტიის მოოისტურ მე-9 ყრილობას" ეუწოდოთ ნამდვილ კომუნისტთა ყრილობა, აცხადებს „უნენი". ყრილობის ორგანიზატორებმა დაარღვიეს შინაპარტიული დემოკრატიის ყველა ნორმა და დელეგატების არჩევითობის პრინციპი და შეკრიბეს ადამიანები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი იმით, რომ ბრმად ემორჩილებოდნენ „დიდ მესაჭეს". მათ უმრავლესობას შეადგენდნენ საზხედრეები, აგრეთვე აქტივისტი ხუნვეიმენები, რომლებმაც თავისებურ მოიერიშეთა როლი შეასრულეს ჩინეთის პარტიული ორგანიზაციებისა და სახალხო ხელისუფლების ყველა საფეხურისა და ორგანოს დარბევაში. ყრილობას „სპეციალ გმირი დელეგატების სახით" ესწრებოდნენ მაოისტი ვაჟბატონები, რომლებმაც საბჭოთა მესაზღვრეებს აუტეხეს სროლა მდინარე უსურზე.

სტატიაში აღნიშნულია, რომ მაო მრავალი წლის მანძილზე დაქინებით ცდილობდა ხელთ ეგდო ძალაუფლება პარტიისა და სახელმწიფოში. ამ მიზნის მან მსხვერპლად შეწირა ჩინეთის კომპარტიის მილიონობით საუკეთესო შვილი, არმისია და ნაციონალისტური გრძნობებით გაბრეგებული ახალგაზრდობის დახმარებით მაო მკაცრად გაუსწორდა ყველა სხვაგვარად მოაზროვნეს და ამითი უდიდესი ზიანი მიაყენა ჩინეთის კომპარტიას — მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთ უდიდეს რაზმს, და საფრთხე შეუქმნა ჩინელ მშრომელთა სოციალისტურ მონაპოვრებს.

ახლა მაო და მისი ხელქვეითნი ინიღბებიან „ჩინეთის კომპარტიის ყრილობის" ეპრით და გასული ორცხვით აძლევენ სანქციას ძალაფურ გადატრიალებას პარტიასა და სახელმწიფოში, რომელიც მოახდინეს.

ამით მაო ძე-დუნმა ოფიციალურად განაცხადა, რომ სავსებით უარს ამბობს ჩინეთის კომპარტიის მე-8 ყრილობის მიერ დასახულ კურსზე, რომ უღალატა მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიად პრინციპებს.

„პარტია", რომელიც ახლა-ლა შექმნეს მაოისტებმა, აღნიშნულია სტატიაში, თავისი პლატფორმით წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც არმიასთან ერთად უნდა გახდეს საშიროო-ბიუროკრატიული რეჟიმის მორჩილი ინსტრუმენტი, სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიებისა და მთელი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის იარაღი.

ბრძოლა დიდი ოქტომბრის სამშობლოს—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ლენინური საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, სოციალისტური ქვეყნების სხვა მოძმე პარტიების წინააღმდეგ — აი ის მთავარი ამოცანები, რომლებიც მაოს ჯგუფმა დუსახა მის მიერ შექმნილ ორგანიზაციას საგარეო პოლიტიკურ საქმიანობაში, აღნიშნავს „უნენი".

„ყრილობის" მსვლელობამ და მისმა დოკუმენტებმა ცხადყვეს, რომ ყოველივე ისე ოდი ეყო, როგორც მის ორგანიზატორებს სურდათ. სწორედ ამიტომ „ყრილობის" გადაწყვეტილებებში არის მოწოდება „გახალგრძონ" „კულტურული რევოლუცია". ეს ნიშნავს, რომ მაოისტები კვლავ მიმართავენ რეპრესიებსა და შეურაცხყოფენ პატიოსან კომუნისტებსა და ჩინელი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებს.

დასასრულ სტატიაში ნათქვამია: „პეკინის პროპაგანდა ცდილობს ისე წარმოადგინოს ჩინეთის კომპარტიის მე-9 ყრილობა თითქოს ეს იყოს მოვლენა, რომელსაც მნიშვნელოვანი შედეგები შეიძლება მოჰყვეს. უნდა დავეთანხმოთ ასეთ შეფასებას. ჩინელი ხალხისათვის ამ სიტყვებს ისევდითი მნიშვნელობა აქვს. დღეს ყოველ სიფად მოაზროვნე ადამიანს ესმის, რომ ახალი ცხოვრების მზეს, რომელიც ჩინეთში ამოვიდა 20 წლის წინათ, სულ უფრო ეფარება მაოიზმის შავი ღრუბელი და ძნელია იმის თქმა, თუ როდის გააბნევ მისი სხივები ამ ბნელეთს. მაგრამ ერთი რამ სავსებით ცხადია: ჩინეთში მაინც გათენდება".

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ვ. ი. ლენინის სახელობისა

პარიზი, 13 მაისი. (საკდესი). საფრანგეთის ქალაქ ამბაზაკის (ზემო ვიენის დეპარტამენტი) მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ცენტრალური საქალაქო მოედანს უწოდოს ვ. ი. ლენინის სახელი.

ვ. ი. ლენინის სახელობის მოედნის გახსნის საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი ჟაკ დიუკლო — საფრანგეთის მუშათა და დემოკრატიული ძალების კანდიდატი პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში.

ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანი გაიხსნა იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქის მოსახლეობა აღნიშნავს ამბაზაკის კომუნისტური ორმოცი წლისთავს.

არჩევნები ბერლინში

ბერლინი, 12 მაისი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის სხდომა.

სხდომის დაწყებისას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გ. მატერნმა პატივი სცა სახალხო პალატის განსვენებული თავმჯდომარის ი. დიმანის ხსოვნას.

გ. მატერნმა წამოაყენა წინადადება აირჩიონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარის პოსტზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ქრისტიანულ-დემოკრატიული რესპუბლიკის თავმჯდომარე გერალდ გერინგი.

დეპუტატებმა მრავალჯერ-ნად აირჩიეს გ. ბეტინგი რესპუბლიკის სახალხო წარმომადგენლობის უმაღლესი ორგანოს თავმჯდომარედ.

ნეოფაშისტები ასახელებენ კანდიდატებს

ბონი, 12 მაისი. (საკდესი). ნეოფაშისტურმა ნაციონალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც ცდილობს შეაღწიოს ბუნდესტაგში, უკვე დასახელა 200-ზე მეტი თავისი კანდიდატი. როგორც დასავლეთგერმანული ჟურნალი „შტერნი" წერს, ისინი „მეტწილად ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ფუნქციონერები, ძველი ნაციონალ-სოციალისტები და აკრძალულ პარტიათა ყოფილი წევრები არიან".

ალენ პოერი პრეზიდენტობის კანდიდატია

პარიზი, 12 მაისი. (საკდესი). ალენ პოერმა დღეს ოფიციალურად დასახელა თავისი კანდიდატურა საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტზე, რომლის არჩევნები 1 ივნისს გაიმართება. ა. პოერი ამჟამად დროებით ასრულებს საფრანგეთის პრეზიდენტის მოვალეობას.

ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ, ᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ!

კოლუმბიელი „მაუგლი"

„მონო ბლანკო! მონო ბლანკო!" — გაჟეიროდნენ ადამიანები, რომლებიც ხიდან ხეზე უჩვეულო სისწრაფით მხტუნავ უცნაურ არსებას ირგვლივ შემოხვეოდნენ. ეს მოხდა სულ ახლახან კოლუმბიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე დეპარტამენტ კაუკის ტროპიკულ ტყეებში ჩაკარგულ ერთ პატარა სოფელში. ამ სოფლის მცხოვრებლებმა შეიპყრეს „მონო ბლანკო", რაც ესპანურ ენაზე „თეთრ მაიმუნს" ნიშნავს.

ჯუნგლების უჩვეულო ბინადარი ალმოჩნდა ოცი წლის ჭაბუკი. მას ლაპარაკი, რა თქმა უნდა, არ შეეძლო და მხოლოდ მაიმუნის მსგავსად რაღაც გაბმულ ბგერებს გამოსცემდა. ჭაბუკ-მაიმუნი უმეტესად ოთხზე დადიოდა, და ფეხვებს, ველურად მზარდ ნაყოფსა და მწერებს ჭამდა.

როგორც გაზეთი „ტიემპო" წერს, რომელიც ამ ამბავს იუწყება, „ტყეე" კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში ჩაიყვანეს. აქ იგი გულდასმით შეამოწმეს მეცნიერმა-მედიკოსებმა, ანთროპოლოგებმა და ფსიქიატრებმა. დაიწყეს აგრეთვე იმ გარემოებათა შესწავლა, რომელთა გამო ჭაბუკი მაიმუნთა შორის მოხვდა.

ბოლოს დაადგინეს, რომ 20 წლის წინათ ამ ადგილებში ინდიელთა ტომი მიდიოდა, რომელიც თავისი მიწებიდან ადგილმონაცვლეობამ გააძევეს. შეიარაღებულ მცველთა დევნისაგან თავის დასაწყვეტად ინდიელები ღვთისანაბარა ტოვებდნენ ყველაფერს, რაც კი გააჩნდათ, და გარბოდნენ.

საერთო პანიკისა და არეულობის დროს უპატრონოდ დატოვებიათ ჩვილი ყმა. ბავშვი ტყეში იპოვნა და გამოკვება მაიმუნების გუნდმა.

ამ შემთხვევამ კოლუმბიის დედაქალაქში სენსაცია მოახდინა. მან დაინტერესა მრავალი მეცნიერი — ანთროპოლოგი, სპეციალისტი, რომლებიც ადამიანებისაგან სრული იზოლაციის პრობლემას სწავლობენ.

მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანებიც. რომლებმაც კოლუმბიელი „მაუგლისადმი" სულ სხვა ხასიათის ინტერესი გამოიჩინეს. რამდენიმე საქმოსანმა იმთვალ, ვინც ყველაფერს კისრულობს ფულის მოგებისათვის, გლეხებს, რომლებმაც ჭაბუკ-მაიმუნი ქალაქში ჩამოიყვანეს, შესთავაზეს იგი მათთვის მიეყიდათ, რათა გარკვეულ ფასად ეს უჩვეულო არსება ცნობისმოყვარეთათვის ეჩვენებინათ. აღშფოთებულმა გლეხებმა უარი თქვეს ამ თავხედურ წინადადებაზე და განაცხადეს, რომ გაუბედურებული ადამიანის ხარჯზე ფულის გაკეთება საზიზღარი დანაშაული.

კიდევ ერთი „მოგზაური-მარტოხელა"

ამას წინათ ინგლისი დიდი პატივით, ისე როგორც ეს გმირს შეეფინის, შეეგება კიდევ ერთ მამაც მეზღვაურს, რომელმაც პატარა ხომალდით მარტომ იმოგზაურა მსოფლიო-ალრმემო.

ეს მამაცი მოგზაური არის 30 წლის საზღვაო ოფიცერი რობინ ნოუს-ჯონსტონი. იგი ტროიმფით დაბრუნდა ფალმუტში ზღვაში გასვლიდან 312 დღის შემდეგ.

სხვა ორ ინგლისელ „მსოფლიოს გარშემო მოგზაურთაგან" განსხვავებით, რომელთა სახელები ამ უკანასკნელ ორ წელიწადში ზღვით მოგზაურობის ისტორიაში შევიდა, ნოუს-ჯონსტონმა თავისი მოგზაურობა განხორციელა შეუჩერებლად, არ ჰქონია არც ყოლისა და არც სურსათის მარაგი. ასეთ პირობებში მან გაიარა 30.000 მილი.

სახეგარეულმა და წელგამოშვებულმა ნოუს-ჯონსტონმა ნაპირზე გადმოსვლისას განაცხადა, რომ თავს შესანიშნავად გრძნობს და მზად არის კვლავ ზღვაში გავიდეს.

როგორც ასეთი მოგზაურობის პირველმა მომწყობმა. მან მოიპოვა ერთ-ერთი საკერაო გაზეთის მიერ დაწესებული ჯილდო. ამ გაზეთმა მოაწყო თავისებური შეჯიბრება მარტოხელა იახტსმენების შეუჩერებელ ცურვაში მსოფლიოს გარშემო. მასში კიდევ სამი ზღვით მოგზაური მონაწილეობდა.

იახტით წყნარ ოკეანეში

ტოკიო, 12 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ზაცეპინი იუწყება:

38 წლის ამერიკელი ქალი სიარონ ადამსი დღეს იაპონიის იოკოჰამის ნავსადგურიდან იახტით „ზღვის ზვიგენი" გაემგზავრა სანოსნოდ წყნარ ოკეანეში. 10 ათას კილომეტრს ადამსი, მსოფლიოში პირველი ქალი, რომელმაც გაბედა დიდი ოკეანის დამორჩილება, აპირებს გაიაროს 80 დღეში და მივიდეს კალიფორნიის სან-დიეგოს ნავსადგურში.

9,8 მეტრი სიგრძის „ზღვის ზვიგენი", ორი ანძით, შექმნა ადამსის ქმარმა, იახტსმენმა ინსტრუქტორმა ალ ადამსმა.

ᲥᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

მე-8 გვერდი, ოთხშაბათი, 14 მაისი, 1969 წ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲣᲤᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲙᲘᲓᲐᲜ

სტოკჰოლმის კონფლიქტები

24 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ თუ დიდი კუნძულის გავლა ყოფილა საჭირო, შვეციის დედაქალაქ სტოკჰოლმში რომ მოსვდეთ. არ ვიცი რამდენ ასეთ კუნძულს აუარა გვერდი საბჭოთა ტურისტებითა და სპორტული ჟურნალისტებით სავსე თბომავალმა „პარია ულიანოვამ"..

ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატი დღეს უკვე სპორტის ისტორიის კუთვნილება გახდა. ჩვენი პლანეტის უძლიერესი კოლეტივების დაძაბული სპორტული ბრძოლები ცისფერ ეკრანებზე ნახა მილიონობით მაყურებელმა. ამიტომ ჯერ სტოკჰოლმზე და მის ადამიანებზე მინდა მოგითხრთ...

დიდი მოძრაობაა სტოკჰოლმში. 5 კაცზე ერთი ავტომანქანა მოდის და ამას საზოგადოებრივი სარგებლობის ტრანსპორტი — ტრამვაი, ავტობუსი, მეტროც დაუმატეთ. დიახ, მეტროც. მისი შემადგენლობა ხშირად ამოყოფს ხოლმე თავს მიწის ზემოთ და თუ ფრთხილად არ იქნებით, შეიძლება მისი მსხვერპლი გახდეთ ქალაქის რომელიმე მაგისტრალზე. ამიტომ არის, რომ აქ დიდი ყურადღება ექცევა ქუჩაში მოძრაობის წესების დაცვას.

ფეხით გადასასვლელზე წითელი შუქი აინთო, 100-200 მეტრზე კი ავტოტრანსპორტის ჭაჭანება არ არის. ადამიანები უხმოდ დგანან გადასასვლელთან და მწვანე ნიშანს ელოდებიან. წესრიგის დარღვევას საკმაოდ დიდი ჯარიმა მოყვება. ქალაქის ქუჩებში ტრანსპორტის ისეთი სწრაფი მოძრაობაა, ჩავლილ მანქანას თვალს ძლივს შეავლებ, ქუჩებს ზემოთ ადმართულია უამრავი ხიდი სპეციალურად ტრანსპორტის გასავლელად. ზოგი მათგანი სამსართულიანიც კია, მაგალითად, სლიუსენთან. მაგისტრალებზე ვერც ერთ წესრიგის დამცველს ვერ ნახავთ. მაშ, როგორ ხდება უწესო მგზავრობის ფიქსირება? სრულიად უბრალოდ. წესრიგის დარღვევისათვის ადგილზე როდი აჩერებენ დამნაშავეებს. ამას ფიქსაციას უკეთებს პოლიციელი, რომელიც მაგისტრალზე სხვებთან ერთად მიაქროლებს ავტომანქანას. ადგილზე აკავებენ მხოლოდ მას, რომელსაც ჯარიმის გადახდა აღარ შეელის — ადამიანი „გაიტანა და უკვე დასაპატიმრებელია...

„იუპანესსპოფის" ყინულის სასახლეში დილის მატჩებზე ისეთი ერიამული იყო ხოლმე, რომ თავბედს იწყევლიდნენ მსაჯები, მატჩის მონაწილე ჰოკეისტები. ამის მიზეზი ერთ-ერთ ტრიბუნაზე მოკალათებული ასობით მოსწავლე გახლდათ, რომლებიც ძალზე ხმამაღლა გამოხატავდნენ თავიანთ სიმპათიას რომელიმე გუნდის მიმართ.

ერთ-ერთი მატჩის დროს მოსწავლეთა ამ უცნაური აუდიტორიის სტუმარი გავხდი. მომეჩვენა, რომ სულ სხვა სამყაროში მოვხვდი. ესენი მოსწავლეები კი არა, ზრდადამთავრებული ახალგაზრდები იყვნენ, რომლებისთვის ნებადართულია ყველაფერი, უნდეთ საქციელიც კი.

მგონია, 12-13 წლის გოგონებს კომეტიკის საიდუმლოებაზე ლაპარაკი რომ წამოეწყო, მათ ეს ამბავი სასაცილოდ არ ეყოფათ. აქ კი ეტყობა ყველა მათგანი ამ საქმის კარგი ოსტატია, სრულყოფილად არის დაუფლებული მის ხელოვნებას. პერიოდებშუა, შესვენებაზე, როგორც წესი, ამ ციცქნა გოგონებისა და ბიჭების უმრავლესობა თამბაქოს ეწევა, ლუდსა და სხვა უფრო მაგარ სასმელებს შეეტევა.

სტოკჰოლმის სკოლებში ზოგიერთი კარგი წესია დანერგილი. მოსწავლეები ყოველდღიურად უფასოდ იღებენ ორკერძიანან ცხელ საუზმეს; მესამედან მეოთხე კლასში გადასასვლელად აუცილებელია კარგად იცოდე ცურვა, თორემ იმავე კლასში დარჩები. ეს კარგია, დიდმა და პატარამ რომ კარგად იცის ცურვა — ტბაში ან ზღვაში თუ ვინმე ნახეს დამხრჩვალი, თვლიან, რომ მან თავი მოიკლა. მაგრამ საჭიროა კი, ნორჩეს საოჯახო საქმეთესან ერთად გაკვეთილების ცხრილში ჰქონდეთ ისეთი „საგნები", როგორიც არის „კოსმეტიკა" ან „სექსი"?

— კოსმეტიკა მოდაში შემოვიდა. ახალგაზრდები უგემოვნოდ იღებავენ სახეს, საშინელი სანახავი არიან. ამიტომ გადავწყვიტეთ კოსმეტიკა შეისწავლოს გოგონამ სკოლის მერხზეკ, — გვითხრა ერთმა შვედმა ჟურნალისტმა, როცა შეღებილი ნორჩი სახეებით გაკვირვებულებმა მას შეკითხვა მივეცით.

„სექსის" გაკვეთილებს რომ ბიჭიეთად ითვისებენ სტოკჰოლმელი ახალგაზრდები, ჩვენ ბიჭურჭურ ვაცხდით ამის მოწმე შუალამისას ქუჩებსა და მოედნებზე, ახალგაზრდულ კლუბებში.

ახალგაზრდული კლუბი, ალბათ წარმოიდგენთ, რომ აქ იკრიბებიან ჯანსაღი სულის ჭაბუკები და გოგონები, რომლებიც მჭობენ აქტუალურ საკითხებზე, ერთობიან. ნურას უკაცრავად. სტოკჰოლმის ახალგაზრდულ კლუბებში თავს იყრიან უცნაური პერსონაჟები. ვერ გაარჩევ — რომელია მდედრობითი და რომელი მამრობითი სქესის. ყველას შარვალი აცვია, გრძელი, დიდი ხნის დაუვარცხნელი თმა „ამშვენებს". „კლუბის" დარბაზში არიან, წვანან, ერთმანეთს თმებს აგლეჯენ, უცნაურად ცეკვავენ. ალბათ ამ ამბავსაც ექნება „შეედური" ახსნა, მაგრამ საჭიროა კი?!

ყურადღება მიიპყრეს ერთ-ერთ ვიტრინასთან შეკრებილმა გოგონებმა და ბიჭუნებმა. მათ ვიღაც მაღალი, გამხდარი, სათვალიანი მამაკაცი რაღაცას გაცხარებით უხსნიდა. რა იყო საუბრის საგანი? პორნოგრაფიული ნაწარმის მაღაზიის ვიტრინა. არ ვიცი, მსგავს „დაწესებულებათა" მესვეურებს რა ამოძრავებდათ, რომ ასე საჯაროდ გამოფინათ ის, რაც ადამიანის წარმოშობიდან დღემდე აკრძალულია საზოგადოებისთვის. ასეთი ვიტრინებით სავსეა მთელი სტოკჰოლმი. ამას ემატება ისიც, რომ შვეციის დედაქალაქში მრავლად არის პორნოგრაფიული ფილმების საჩვენებელი დაწესებულებები — „პოლიციუდი", „ლონდონი" და სხვა კინოთეატრები. აქ დილიდან გვიან ღამემდე ატრიალებენ უხამს კინოფირებს.

ამის წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებს ადგილობრივი პრესა, სხვადასხვა დაწესებულება, მაგრამ ეს არის მხოლოდ ღაღადი უდაბნოსა შინა.

შვეცია „შრალი კანონის" ქვეყანა რომ არის, ხშირად გამიგონია, მაგრამ სტოკჰოლმში ამის საწინააღმდეგო ფაქტების მოწმე გავხდი. იმდენი მთვრალი, რაც მე 18 დღეში ვნახე, ალბათ მთელ სიცოცხლეში არა მყავს ნანახი. ეს განსაკუთრებით ზესამჩნეგია მუშათა რაიონებში. ალბათ მუშას არა აქვს იმის საშუალება, რომ ძვირადღირებულ რესტორანს მიაშუროს, იძულებულია ქუჩაში, უფრო იაფად „გაატაროს დრო".

ისე არ გამიგოთ, რომ სტოკჰოლმში მხოლოდ ცუდი ვნახე. სრულიადაც არა. მე შევხვდი ბევრ კარგ ადამიანს, რომლებსაც არ მოსწონთ ის, რასაც ზიანი მოაქვს ახალგაზრდობისთვის, მე ვნახე კეთილი საუნი — ბავშვები, მოხუცები, რომლებიც სანაპიროებზ



თბილისი დღეს

მუშაობა და შენდება ჩვენი სიმამაცე — თბილისი. სართულს სართული ემატება, სახლს — სახლი, კვარტალს — კვარტალი. ქალაქის მთელ სიგრძეზეა გაჭიმული ულამაზესი მაგისტრალები. სურათზე: ვაჟა-ფშაველას პროსპექტი.

ფოტო რ. კაპარაძისი.
(საქდღისის ფოტოქრონიკა).

ჩვენი ინტერვიუ

ექს-ჩემპიონი ჩემპიონის შესახებ

მოსკოვი. (სპეც. კორ.). ეს სანდომიანი გარეგნობის ქალი 1962 წელს თვით თამაშობდა მატჩს მსოფლიოს პირველობაზე. მისი მეტოქე 21 წლის ნონა გაფრინდაშვილი გახლდათ. რაღა დასამალავია, და დამარცხებულ ჩემპიონებს ხშირად არ უყვართ ის ადამიანები, რომლებმაც ისინი საჭადრაკო ტახტზე შეცვალეს. ვ. სტეინიცმა ორი მატჩი წაგო ე. ლასკერთან, მაგრამ არ აღიარა თავი დამარცხებულად. საჭადრაკო გვირგვინი ლასკერს ერგო, მისი ყოფილი მფლობელი კი ჯიუტად აწერდა წერილებს: „ვილჰელმ სტეინიცი — მსოფლიოს ჩემპიონი". კაპაბლანკა და ალიოხინი სიკვდილამდე არ სცემდნენ ხმას ერთმანეთს.

ელისაბედ ბიკოვა სულ სხვანაირად მოიქცა. წაკო თუ არა მატჩი (2:9), იგი ნ. გაფრინდაშვილის გულშემატკივარი გახდა! ახლა ე. ბიკოვა ნ. გაფრინდაშვილია. კუშნირის მატჩს ესწრება, როგორც საჭადრაკო მომხილველი. პრეს-ცენტრში ჩვენ ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს.

მთელი საღამოს მანძილზე თქვენ საჭადრაკო დაფას უზიხართ და გულდასმით არჩევენ პარტიებს. რომელი პარტია მოგეწონათ ყველაზე მეტად ამ მატჩში?

მე, მართალია, მატჩის თბილისის ნახევარს არ დავსწრებივარ (მოსკოვის ჩემპიონატში მონაწილეობის გამო), მაგრამ ყველა პარტია გავარჩიე. ჩემთვის ცხადია ნონას უპირატესობა. მან ძალიან კარგად ითამაშა მესამე, მეხუთე და მეექვსე პარტიებში, ბევრი საინტერესო ფრაგმენტია სხვა შეხვედრებშიც. მატჩი ჯერ კიდევ გრძელდება, და, ცხადია, კიდევ ბევრ საინტერესო პარტიას ვნახავთ.

რას იტყვით პრეტენდენტის თამაშზე?

ა. კუშნირი ახლა გაცილებით უკეთესად თამაშობს, ვიდრე რიგაში. აიღეთ პირველი პარტია — პრეტენდენტის მანევრული ხელოვნება უდავოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. მეცხრე პარტიაში მან კარგად წარმართა ტაქტიკური ბრძოლაც, თუმცა თბილისში ამ მხრივ უდავო ხარვეზები ჰქონდა.

როგორი იქნება თქვენი დასკვნა?

ჩემპიონმა უნდა შეინარჩუნოს თავისი წოდება. ამაზე მეტყველებს პარტიების მსვლელობაც. ანგარიში ისეთია, რომ პრეტენდენტისათვის მეტისმეტად ძნელია მატჩში გარდატეხის შეტანა, მეტისმეტად გამწვავებამ შეიძლება კუშნირს დამატებითი უსიამოვნება მოუტანოს, ზედმეტად წყნარი თამაშით კი ნ. გაფრინდაშვილს ვერ მოუგებ. ერთი სიტყვით, კუშნირი ორ ცეცხლს შუაა.

თქვენ წარმატებით ითამაშეთ მოსკოვის ჩემპიონატში, რომელიც მსოფლიოს 1971 წლის ჩემპიონატის ერთ-ერთი საფეხური გახლავთ.

დიახ, მაგრამ პირდაპირ ვთქვათ, საკმაოდ დაბალი საფეხურია. მე და სხვა ოსტატებმა მოსკოვის ჩემპიონატში გამოსვლის შემდეგ მოვიპოვეთ უფლება ვითამაშოთ საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში, აქ კი ფინალის საგზურებისათვის უნდა ვიბრძოლოთ.

ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალი თბილისშია დაგეგმილი?

დიახ, ფინალში პერსონალურად მიწვეული არიან ნ. გაფრინდაშვილი, ა. კუშნირი (ისინი, უნდა ვიფიქროთ, არ ითამაშებენ), ნ. ალექსანდრია, ა. ჩაიკოვსკაია და მ. რანიკუ. თბილისში მეტად ცხარე ბრძოლა უნდა გაჩაღდეს მსოფლიოს პირველობის საზონათაშორისო ტურნირის სამი საგზურისათვის. ამ 3 საგზურს 20 პრეტენდენტი ეყოლება. გასაგებია, თუ რა ცხარე ბრძოლაა მოსალოდნელი თბილისში.

როგორც ხედავთ, მატჩი მსოფლიოს პირველობაზე ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ახალი ჩემპიონატისათვის მზადება კარგა ხანია გაჩაღებულია. მისთვის ამზადება ყველა, ვეტერანებიც და ახალგაზრდებიც. საოცარი რამეა ჭადრაკი! მოჭადრაკემ შეიძლება სასტიკი მარცხი განიცადოს, ნამდვილი სპორტული კატასტროფაც კი, მაგრამ როგორ გნებავთ დაარწმუნოთ იგი ამაში? ოპტიმიზმი ხომ ყველა მოჭადრაკის განუყოფელი თვისებაა.

გ. გამრეკელი.

ტ. პეტროსიანმა წონასწორობა აღადგინა

როგორც ვიუწყებოდით, მსოფლიოს პირველობაზე ტ. პეტროსიანისა და ბ. სპასკის საჭადრაკო მატჩის მეთერთმეტე პარტია, სადაც თეთრებით პრეტენდენტი თამაშობდა, გადაიდო ტ. პეტროსიანის უპირატესობით. პარტიის დაბოლოება მოხდა გუშინ სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში. ბრძოლა არც თუ დიდხანს გაგრძელებულა, 56-ე სვლაზე ბ. სპასკიმ თავი დამარცხებულად ცნო. ამრიგად, მსოფლიოს ჩემპიონმა წონასწორობა აღადგინა, თერთმეტი პარტიის შედეგ ანგარიში გახდა 5,5:5,5.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ სამ პარტიაში ტ. პეტროსიანმა 2,5 ქულის მოგროვება შეძლო.

მოახლოებული ფინიში

ნ. გაფრინდაშვილისა და ა. კუშნირის საჭადრაკო მატჩს მსოფლიოს პირველობაზე ფინიში აქვს. როგორც ცნობილია, პრეტენდენტის მდგომარეობა არასახარბიელოა — 10 პარტიის შემდეგ 6,5:3,5 მსოფლიოს ჩემპიონის სასარგებლოდ. რა თქმა უნდა, 3 ქულის სხვაობა, ისიც მატჩის მიწურულში ცოტა როდია.

გუშინ არჩიის ცენტრალურ სახლში მოწინააღმდეგენი კვლავ მიუსხდნენ საჭადრაკო მაგიდას. შედგა მეთერთმეტე პარტია, სადაც თეთრებით პრეტენდენტი თამაშობდა. გათამაშდა ინგლისური დაცვა. მეტოქეებმა დებიუტიდან დაახლოებით თანაბარი პოზიცია მიიღეს. შემდეგ კი 29-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. მატჩის ანგარიში გახდა 7:4 ნ. გაფრინდაშვილის სასარგებლოდ.

დიდი ფეხბურთის დღეები

გუშინ მოსკოვში გაიმართა ალ. ბელოუსოვის ერთი მატჩი. ... ფეხბურთში უმაღლესი ლიგის ... გუნდებისათვის. თამაშობდნენ ... პირველი ქვეჯგუფის აუტსაიდერები — დედაქალაქის „დინამო" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი". გაიმარჯვეს დინამოელებმა 1:0.

დღეს გაიმართება კიდევ 7 თამაში. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს"

□

... ...

... ...